

ნათია მიროტაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსია – ყველაფერი ერთში

ესთერის წიგნის ძველ ქართულ ვერსიას, რომელიც მე--

13—მე-17 საუკუნეების ოთხ ხელნაწერშია წარმოდგენილი, დღეს არსებულ არც ერთ ბერძნულ წყაროში არ ეძებნება ეკვივალენტი. იგი კონტამინირებული, ჰიბრიდული, ტექსტია, რომელიც შედგება ბერძნულენოვანი ესთერის წიგნის ყველა ცნობილი ტექსტუალური ფორმისაგან. მათგან ძირითადი სეპტუაგინტას ესთერია, რომელიც შევსებულია ალფა ტექსტიდან და მესამე ტიპის ბერძნული ტექსტიდან მომდინარე სხვადასხვა ზომის (ერთი სიტყვით დაწყებული დიდი შინაარსობრივი ეპიზოდებით დამთავრებული) მონაკვეთებით. ქართულ ვერსიაში არსებულ მესამე ტექსტუალური ტიპიდან მომდინარე მონაკვეთთა ერთ ნაწილს ლათინურში, რომელიც დღემდე ამ ვერსიის ძირითად წყაროდ მიიჩნეოდა, შესატყვისი არ აქვს.

ქართული ვერსია, კუმულაციური ხასიათიდან გამომდინარე, შეიცავს ყველა დიდ შინაარსობრივ ეპიზოდს, რომლებითაც ბერძნული და ლათინური ტექსტუალური ტიპები განსხვავდებიან ებრაულისაგან და ერთმანეთისგანაც. გარდა ამისა, ქართულ ტექსტში გვაქვს არაერთი დუბლეტური სიტყვა, ფრაზა, ეპიზოდი, რომლებიც მაშინ იქმნება, როდესაც ალფა ტექსტიდან თუ მესამე ბერძნული ტექსტიდან შე-

მოსული მასალა სექტუაგინტას პარალელურია. ამის გამო ტექსტი მოკლებულია ლოგიკურ მთლიანობას და არც თუ ისე კარგ საკითხავს წარმოადგენს.

ჩვენი მოხსენების მიზანი იმის გარკვევაა, ეს ტექსტი ქართველი მთარგმნელის თარგმანის ტექნიკის ნაყოფია, ქართველი მთარგმნელის ფილოლოგიური საქმიანობის შედეგი თუ იმ ბერძნული *Vorlage*-ს ასახვა, რომელიც დღეს აღარ არსებობს და რომელიც ნაწილობრივ შემონახულია ლათინურში. როგორც არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხი, ერთი რამ ცხადია: იგი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მუშაობის კვალს ატარებს, თუმცა საეჭვოა, ასეთი ცუდი, საკითხავად გამოუსადეგარი, ტექსტის შექმნა ბერძენი რედაქტორის ანდა ქართველი მთარგმნელის წინასწარდასახული მიზანი ყოფილიყო.

